ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ოქმი №13

დ. ჩოხატაური *16 ოქტომბერი 2015 წელი*

სხდომის თავმჯდომარე - ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

გოჩა სეხნიაშვილი, აკაკი ყაჭეიშვილი, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, გიორგი რამიშვილი, რამაზი უჯმაჯურიძე, ოთარი სოროზანიშვილი, ერეკლე უღრელიძე, თემური ხუხუნაიშვილი, უშანგი ართმელაძე, დათო ვაჩეიშვილი, დავით გუდავაძე, მარინე ბერაძე, ზვიადი მამალაძე, გია გვენეტაძე, ირაკლი ახობაძე, მამია ბარამიძე, დიმიტრი კორიფაძე, მამია ბარამიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), გოდერძი გოგიშვილი, რომან ჯულაყიძე, კლოდი მდინარაძე.

არ ესწრებოდნენ: ვლადიმერ სიხარულიძე, ქეთევან სიხარულიძე, დავით ტყეშელიაძე, ალექსანდრე შარაშიძე, ალეკო კვინტრაძე, მალხაზ ჩხიკვაძე, დავით ტრაპაიძე, გოჩა თოდრია, კობა კალანდაძე, დავით შარაშიძე, მაია პაიჭაძე, მაია გიორგაძე, მანანა მინდაძე, შალვა ჩანტლაძე, არჩილ სიხარულიძე.

მოწვეული მუნიციპალიტეტის გამგეობიდან:

ზაზა ოსეფაიშვილი- გამგეობის საფინანსო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის საკითხებში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №60 დადგენილებაში - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

აზრი გამოთქვა: მარინე ბერაძემ, ირაკლი ახობაძემ, მამია ბარამიძემ (ენმ).

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები

მომხრე _ 23

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 23 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №60 დადგენილებაში -,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ზაზა ოსეფაიშვილი

I საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №60 დადგენილებაში -,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №60 დადგენილებაში - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ზაზა ოსეფაიშვილი

აზრი გამოთქვა:

მამია ბარამიძემ (ენმ), რომელმაც მომხსენებელს მიმართა კითხვით: როდესაც გაიგეთ, რომ ფინანსთა სამინისტროში გვაჭრიდნენ ტრანსფერს, გამგეობის საფინანსო სამსახურმა ან გამგეობის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა თუ ეცადნენ რომ ეს თანხა დარჩენილიყო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში? მაინტერესებს, არსებობს თუ არა წერილობითი დოკუმენტაცია გამონთავისუფლებული თანხის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის შესახებ.

როდესაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მივიღეთ, პროექტს არ დავუჭირე მხარი. 2014 წელში რამდენჯერმე მოხდა ა.ა.ი(პ)-ებში ცვილიება. გამგეობის საფინანსო და მუნიციპალური

შესყიდვების სამსახურის უფროსი- გელა ლომინეიშვილი გვპირდებოდა და პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებდა, რომ წლის განმავლობაში ა.ა.ი(პ)-ების ბიუჯეტში არ განხორციელდებოდა დამატებები და ცვლილებები. ვფიქრობ, რომ ეს არის პერსონალური დამოკიდებულება მოტივაციით ,,როგორც მინდა ისე ვხარჯავ" და შეიძლება თუ არა ა.ა.ი(პ)-ების ბიუჯეტი დაიგეგმოს სწორად წლის განმავლობაში? მიგაჩნიათ თუ არა რომ ეს შესაძლებელია?

ზაზა ოსეფაიშვილმა დასმულ შეკითხვებზე გააკეთა შემდეგი განმარტებები:

1. ცენტრალური ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხა, რომელიც შემცირდა, იყო კაპიტალური ტრანსფერი. ჩატარებული ტენდერების შემდეგ მოხდა ხელშეკრულებების გაფორმება მთავრობის განკარგულების შესაბამისად გამოყოფილი თანხებით ნაკლებ თანხაზე.
2. რაც შეეხება საკითხს, ა.ა.ი(პ)-ების ბიუჯეტი დაიგეგმა თუ არა სწორად წლის განმავლობაში, ვთვლი რომ, რეალურად ეს ვერ მოხდა გარკვეული მიზეზების გამო.
3. გამგეობის საფინანსო სამსახურმა ან გამგეობის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა ეცადნენ თუ არა, რომ ტრანსფერის თანხა დარჩენილიყო ჩვენს რაიონში, ამ საკითხთან დაკავშირებით არ ვფლობ ინფორმაციას.

დიმიტრი კორიფაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგებელმა- ირაკლი კუჭავამ არაერთხელ გააკეთა განცხადება, რომ კულტურის სახლის ავანსის თანხის ბიუჯეტში მთლიანად შემოტანის შესახებ. მაინტერესებს, ეს თანხა მთლიანადაა შემოსული ბიუჯეტში და თუ არ არის მთლიანად შემოტანილი, მაშინ რამდენია შემოსატანი?

ფრაქცია ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ-ზვიად მამალაძემ გააკეთა განმარტება, რომ კულტურის სახლის ავანსის თანხა გრაფიკის მიხედვით იყო შემოსატანი. იმ პერიოდისთვის, როდესაც ეს განცხადება გააკეთა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, მაშინ გრაფიკით გათვალისწინებული ყველა თანხა იყო სრულად დაფარული. სულ დარჩენილია შემოსატანი 127 000 ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგები

მომხრე _ 23

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს – 23 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №60 დადგენილებაში -,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე *ზაალ მამალაძე*